დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18
2016 წლის 22 აპრილი

ქ. დედოფლისწყარო

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების 2016 წლის მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2016 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 03.02.2016 წლის №04 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების 2016 წლის მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2016 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 თებერვლის №04 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge. 09.02.2016 წ. სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.169.016262) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 თებერვლის №04 დადგენილებით დამტკიცებული ,,დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების 2016 წლის მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2016 წლის პროგრამის“ მე-11 მუხლის მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„15. მეორე მსოფლიო ომის ინვალიდი ან მონაწილე 9 მაისის ღონისძიებასთან დაკავშირებით ერთჯერადი ფულადი საჩუქარი – 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი“;

2. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 თებერვლის №04 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი თან ერთვის).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ზვიად ჯავახიშვილი**
თავმჯდომარე

დანართი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების 2016 წლის მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2016 წლის პროგრამის ბიუჯეტი და რეალიზაციის ვადა

№	დასახელება	სოციალური დახმარების მოცულობა (ლარი)		რეალიზაციის ვადა
		ერთ ბენეფიციარზე ან ოჯახზე	სულ	
1	I. უფასო კვების ობიექტის დაფინანსება		220 000	ბიუჯეტის გეგმის შესაბამისად

2	II. გარდაცვლილი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და ინვალიდის დაკრძალვის ხარჯი	300	**3 000**	
3	**III.** სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება		**461 000**	
	ა) ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახი, რომელსაც ჰყავს ერთი არასრულწლოვანი ბავშვი	8 ლარი ყოვეთვიურად 20 ლარი I,II,XII თვეში	5 000	პროგრამის შესაბამისად
	ბ) ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახი, რომელსაც ჰყავს ორი და მეტი არასრულწლოვანი ბავშვი	12 ლარი ყოველთვიურად 20 ლარი I,II,XII თვეში	5000	პროგრამის შესაბამისად
	გ) მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი	8 ლარი ყოვეთვიურად 20 ლარი I,II,XII თვეში	20 000	პროგრამის შესაბამისად
	დ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი	8 ლარი ყოვეთვიურად 20 ლარი I,II,XII თვეში	4 000	პროგრამის შესაბამისად
	ე) მარტოხელა დედა, რომელსაც ჰყავს ერთი არასრულწლოვანი ბავშვი	8 ლარი ყოვეთვიურად 20 ლარი I,II,XII თვეში	7000	პროგრამის შესაბამისად
	ვ) მარტოხელა დედა, რომელსაც ჰყავს ორი და მეტი არასრულწლოვანი ბავშვი	12 ლარი ყოველთვიურად 20 ლარი I,II,XII თვეში	4 000	პროგრამის შესაბამისად
	ზ) მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც ჰყავს ოთხი და მეტი შვილი და ერთი მაინც არის არასრულწლოვანი	8 ლარი ყოვეთვიურად 20 ლარი I,II,XII თვეში	5 000	პროგრამის შესაბამისად
	თ) მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც ჰყავს ოთხი და მეტი შვილი და ორი მაინც არის არასრულწლოვანი	12 ლარი ყოველთვიურად 20 ლარი I,II,XII თვეში	20 000	პროგრამის შესაბამისად
	ი) ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახი	300 ლარი ერთჯერადად	100 000	პროგრამის შესაბამისად
	კ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის ოჯახი	1000 ლარი ერთჯერადად	13 000	პროგრამის შესაბამისად
	ლ) უპატრონო მიცვალებული	300 ლარი ერთჯერადად	1200	პროგრამის შესაბამისად
	მ) ამბოლატორიულ – სტაციონარული მკურნალობისა და გამოკვლევების დაფინანსება (თანადაფინანსება) (2015 წლის ვალდებულების გათვალისწინებით)	500 ლარამდე	75 000	პროგრამის შესაბამისად
	ნ) ხანძრით, მიწისძვრით, ბუნებრივი კატასტროფით, სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებული ოჯახი, უსახლკარო ოჯახი და ოჯახი, რომლის ავარიული საცხოვრებელი სახლი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს	60 ლარამდე ყოველთვიურად (საშემოსავლო გადასახადის გარეშე)	43 000	პროგრამის შესაბამისად

	ო) სოციალურად დაუცველი მოქალაქეების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფა	100 ლარი ერთჯერადად	80 000	პროგრამის შესაბამისად
	პ) ხანდაზმული მოქალაქე	300 ლარი ერთჯერადად	800	პროგრამის შესაბამისად
	ჟ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და ინვალიდი	250 ლარი ერთჯერადად	4 000	პროგრამის შესაბამისად
	რ) ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეების სოციალური დაცვა (ტრანსპორტირების ხარჯი)	100 ლარი ყოველთვიურად	8 000	პროგრამის შესაბამისად
	ს) 2015 წლის ვალდებულება		15 000	
	ტ) სუბსიდია		51 000	
	სულ:		**684 000**	